



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 13.09.2019 წლის №086/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

კიზიეთარ გოჯაგვა (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა საადვოკატო მომსახურეობის ხელშეკრულება საჩივრის ავტორის ყალბი ხელმოწერით და დაიწყო სასამართლო დავა საჩივრის ავტორის წინააღმდეგ საადვოკატო მომსახურეობის ანაზღაურების მოთხოვნით, მაშინ, როდესაც არასოდეს ყოფილა საჩივრის ავტორის ადვოკატი. აღნიშნული ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებით ჩატარდა ექსპერტიზა - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, რომლებმაც არ დაადასტურეს ხელმოწერის ავთენტურობა.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა საჩივრის ავტორმა წარმომადგენლის მეშვეობით და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივარს ხელს აწერს მხოლოდ საჩივრის ავტორის წარმომადგენელი. საჩივარს თან ერთვის მინდობილობა. აღნიშნული მინდობილობით, საჩივრის ავტორმა როგორც იურიდიული პირის დირექტორმა, მიანიჭა წარმომადგენელს გარკვეული უფლებამოსილება. მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივარში მითითებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან, საჩივარს ხელს აწერს საჩივრის ავტორის წარმომადგენლის სტატუსის მატარებელი პირი რომელიც, მინდობილობით არ არის უფლებამოსილი საჩივრის ავტორის სახელით შეიტანოს საჩივარი ეთიკის კომისიაში. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან წარმოდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს დებულების მოთხოვნებს.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა საჩივარი შეტანილია თუ არა უფლებამოსილი პირის მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივარი შემოტანილია წარმომადგენლის მიერ, საჩივარს უნდა ერთვოდეს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი, კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტი (ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულება, შემდეგში „დებულება“, მუხლი 7.5). წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს ეთიკის კომისიაში მონაწილე მხარის მიერ და მასში (რწმუნებულება, მინდობილობა, ორდერი) მითითებული უნდა იყოს ეთიკის კომისიაში წარმომადგენლობის უფლება. ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (დებულება, მუხლი 9.1(დ)). დებულება გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს საჩივრის ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით, რომლის დაუცველობა შესაძლოა გახდეს დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანა, თუმცა საჩივარს არ დაურთო წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის საფუძველზეც უნდა შეწყდა დისციპლინური წარმოება.

¹ <https://gba.ge/pdf/620e4ab7345ea.pdf/086.19.%20shewyveta,%2013.09.19.pdf>